# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 18 დეკემბერი № 142 (11628) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის

# ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

### საქართველოს ტელევიზიით 1990 წლის 15 დეკემბერს

**მე დიდი** ხანია, არ გამოვსულვარ ტელევიზიით და ამას ჰქონდა გარკვეული მიზეზები: მსურს გესაუბროთ უკანასკნელ ხანებში საქართველოში დატრიალებულ მოვლენებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სამაჩაბლოს პრობლემასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ჩვენ გავაუქმეთ ეს უკანონო ავტონომია, მაგრამ ამას მოჰყვა ძალზე მწვავე რეაქცია ცენტრისა და თვით ადგილობრივი სეპარატისტებისა. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, ჩვენი ერთიანი, შეთანხმებული მოქმედება, რომ ჩვენს მიერ სიტუაციის ნორმალიზაცია და რეგულირება მოხდეს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე სასიხარულოა ცალკეული, ჩვენთან ოპოზიციაში მყოფი პარტიების წარმომადგენელთა სასიკეთო შემობრუნება და გარკვეული გაგება ამ მოვლენებისა, დადებითი შეფასება. ეს ჩვენ ძალიან გვახარებს. მაგრამ ვთხოვთ მათ, რომ ბოლომდე გაერკვნენ სიტუაციაში და ზოგიერთი უარყოფითი შეფასება ამის შემდეგ გააკეთონ. აი, მაგალითად, იყო გუშინ გამოსვლა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი წერეთლისა. მან პოზიტიურად შეაფასა ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ თქვა, თითქოს ჩვენ იქ შევიყვანეთ შინაგანი ჯარები, დავნიშნეთ რუსი კომენდანტი და ა. შ. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, მეგობრებო. სინამდვილეში ეს ჯარები იქ იყო. მოგეხსენებათ, საოკუპაციო ჯარი საქართველოში ჩვენ არ შემოგვიყვანია. ის სერგო ორჯონიკიძემ და სტალინმა შემოიყვანეს თავის დროზე და ამჟამად ამ საოკუპაციო ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით გვინდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, კონსტრუქციულად და არა ცალ-ცალკე, არა რაღაც არაკონსტრუქციული წინადადებების წამოყენებით. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჯარი სამაჩაბლოში იყო, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ კონტინგენტი და რუსი კომენდანტი არავის დაუნიშნავს. პირიქით, როდესაც ხსენებული პიროვნება გუშინ გამობრძანდა ტელევიზიით, უკვე დანიშნული იყო ქართველი შალამბერიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რამაც გამოიწვია უმწვავესი რეაქცია ცხინვალში. სწორედ იმ დროს მიმდინარეობდა მიტინგი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა შალამბერიძის გადაყენებას კომენდანტობიდან და, რასაკვირველია, თავიანთი კანდიდატურის დანიშვნას. ამასთან ცხინვალის ე. წ. ახალშეკოწიწებულმა მთავრობამ; ოსეთის ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკისამ, გააგზავნა ტელეგრამა საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრთან პუგოსთან, რომელშიც მოითხოვდნენ მათი ე. წ. მინისტრის კოჩიევის დანიშვნას სამხედრო კომენდანტად, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც, რასაკვირველია, ჩვენ ვიყავით, და ამიტომ თავიდან პირობითად ითქვა, რომ თითქოს უნდა დანიშნულიყო პუზირხი. ეს იყო შინაგანი ჯარების რეკომენდაცია, მაგრამ ჩვენ არც ამას დავეთანხმეთ და დავნიშნეთ შალამბერიძე. ამან ძალზე მწვავე რეაქცია გამოიწვია თვით ადგილობრივი სეპარატისტების მხრიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ არ შეიცვალოს ეს კანდიდატურა, ყოველ შემთხვევაში, არაქართველით. ჩვენ მას არ შევცვლით. ჩვენ ახლა ვიბრძვით ცენტრთან, თუ შეიძლება ითქვას, კონსტიტუციური ომია ამასთან დაკავშირებით. თქვენ მოგეხსენებათ ლუკიანოვის ამასწინანდელი განცხადება. მან ბრალი დაგვდო კონსტიტუციურ შეტევაში, თითქოს ჩვენ გადავედით შეტევაზე საბჭოთა კონსტიტუციის წინააღმდეგ. ჩვენ საბჭოთა კონსტიტუციას თავის ფარგლებში არ ვეხებით, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. ასეთია ჩვენი პოზიცია. ამას ისინი უძახიან კონსტიტუციურ შეტევას საბჭოთა კონსტიტუციაზე. დაუკვირდით ამ ტერმინებს. ე. ი. ფაქტობრივად დაწყებულია კონსტიტუციური ომი სამაჩაბლოს საკითხთან დაკავშირებით. ასეთ დროს ჩვენ გვინდა გაგება, მხარში ამოდგომა და არა შეძახილებით და წამოძახებებით ხელის შეშლა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მიზანია სამაჩაბლოში დაქვემდებარებული შინაგანი ჯარები დაუქვემდებარონ ჩვენს მიერ დანიშნულ ქართველ კომენდანტს და აგრეთვე ჩვენს უზენაეს საბჭოს. და თუ ამას ჩვენ ვერ მივაღწევთ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით, მაშინ ჩვენ, როგორც განვაცხადეთ, ვართ ამავე დროს ეროვნული დაუმორჩილებლობის ორგანიზებისათვის მოწოდებული ინსტიტუტი. ჩვენ ყოველნაირი საპროტესტო აქციებით, გამოსვლებით ვაიძულებთ ცენტრს, რომ ანგარიში გაუწიოს ჩვენს მოთხოვნებს და დაგვიქვემდებაროს შინაგანი ჯარები, ან საერთოდ გაიყვანოს სამაჩაბლოდან. აი, ასეთი არის ჩვენი პოზიცია, ეს მოგვცემს საშუალებას ქართული მილიციის შეყვანისას და სამაჩაბლოს მთლიანად გაკონტროლებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მიერ. თუ ჩვენი ასეთი კონსტრუქციული და პოლიტიკური მეთოდებით მოქმედებამ არ გამოიღო შედეგი, მივმართავთ უკიდურეს ზომებს. ასე რომ, ჩვენ არავითარი საოკუპაციო ჯარი სამაჩაბლოში არ შეგვიყვანია — ძალზე უხერხული და არაკომპეტენტური შეფასება იქნა მოყვანილი — თითქოს, ისე ვიქცევით, როგორც სააკაძე, როცა შემოიყვანა შაჰ-აბაზის ჯარი. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ამის თქმა, როდესაც სააკაძემ ქართველების წინააღმდეგ შემოიყვანა ჯარი, ხოლო ჩვენ იქ არსებულ შინაგან ჯარს ვცდილობთ მივცეთ ისეთი მიმართება, რომ მან დაიცვას წესრიგი და ამოიღოს იარაღი, რომელიც დიდი რაოდენობით აქვთ სამაჩაბლოს ოს ექსტრემისტებს. ასეთი შედარება ყოვლად დაუშვებელია. ასე რომ, ძალიან გთხოვთ, ჩაიხედოთ წინასწარ საქმეში, ვიდრე გააკეთებთ ასეთ ხმამაღალ განცხადებებს ტელევიზიით. შეისწავლონ, როგორი ვითარებაა და შემდეგ გამობრძანდნენ, თუ, რასაკვირველია, ჩვენი დახმარება უნდათ; თუ უნდათ, რომ საქართველოს სასიკეთოდ წარიმართოს ყოველივე. იყო აგრეთვე მეორე გამოსვლა. — ზოგიერთი პიროვნება იქამდე მიდის, რომ ჩვენთან დაპირისპირებისას ვეღარ ზომავს და აკეთებს საკმაოდ პროვოკაციულ განცხადებებს. ერთი დეპუტატი, მე არ მინდა დავასახელო, ამ დღეებში სერიოზულად გვეუბნებოდა, რომ ჩვენ რუსეთს, საბჭოთა კავშირს, ომი უნდა გამოვუცხადოთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით სამაჩაბლოს გამო. ეს ყოვლად აღმაშფოთებელი განცხადებაა. მე ვიტყოდი, ეს ან შეგნებული პროვოკაციაა, ან, მომიტევეთ და, ასეთი ადამიანის ფსიქიკის, ასე ვთქვათ, ნორმალურობაში შეიძლება, მე მგონი, ეჭვის შეტანა; ეს დეპუტატი სერიოზულად გვარწმუნებდა, და ის ბოლოს დიდ უმცირესობაში მოექცა — შეიძლება ითქვას, მთელ უზენაეს საბჭოს დაუპირისპირდა იმის გამო, რომ სამაჩაბლოში შემოღებულია კომენდანტის საათი ასეთი ფორმით. ვინაიდან ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ფიზიკურად არ შეგვეძლო მაშინვე გამოყვანა შინაგანი ჯარისა, უნდა გამოგვეცხადებინა კომენდანტის საათი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ის შინაგანი ჯარიც, ოღონდ ჩვენდამი დაქვემდებარებით. ასეთი არის ჩვენი გეგმა და თუ ჩვენ ეს ვერ შევასრულეთ, დაგეგმილი გვაქვს სხვა ღონისძიებები. ამჟამად არ ამოგვიწურავს საშუალებები პოლიტიკური ზემოქმედებისა. დღეს ჩამოდის ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი მოსკოვიდან და, ალბათ, საბოლოოდ გადაწყდება ამ ჯარების საკითხი. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჯარები აღმაშფოთებლად მოქმედებენ. ოს ექსტრემისტებთან ერთად დაუპირისპირდნენ ქართველებს, ჩხრეკენ მხოლოდ ქართველებს. გუშინ ამოუღეს იარაღი უზენაესი საბჭოს დაცვის წევრებს. როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი წევრი უზენაესი საბჭოს დაცვის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი რევაზ ურიდია მოკლულია. იგი შესანიშნავი ვაჟკაცი და უერთგულესი პიროვნება იყო, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. ჯერ-ჯერობით ჩვენ დამნაშავეთა დაპატიმრების საშუალება არა გვაქვს. მდგომარეობა მოგვარდება. მე პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ ვაიძულებთ ცენტრს, შეცვალოს თავისი პოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგვაჩნია ზემოქმედების სხვა საშუალებები... ასეთია მდგომარეობა სამაჩაბლოსთან დაკავშირებით. კომენდანტის საათი არ მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ შინაგანმა ჯარმა ჩვენ დაუმორჩილებლობა გამოგვიცხადა. ჩვენი მითითებები არ სრულდება. ჯერ-ჯერობით იმართება მიტინგები, ექსტრემისტები ჯავშან-ტრანსპორტიორებში სხედან ჯარისკაცებთან ერთად და ქალაქში დადიან. ქალაქში დადიან აგრეთვე შეიარაღებული ბანდებით სავსე ნომერმოხსნილი მანქანები. ისინი ჩხრეკენ ქართველ მოსახლეობას, რასაც ჩვენ, რასაკვირველია, არ დავუშვებთ და უახლოეს ხანში ეს მდგომარეობა შეიცვლება. ხოლო, რაც შეეხება საოკუპაციო ჯარს, ვისაც სურს საოკუპაციო ჯარის დროულად გაყვანა საქართველოდან, ხელი უნდა შეგვიწყოს ეროვნული არმიის შექმნაში, ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებაში. ამისათვის შიმშილობები კი არ არის საჭირო ჩვენს წინააღმდეგ, არამედ არაოფიციალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა უნდა ჩაგვაბარონ იარაღი, ჩააბარონ სახელმწიფოს, ჩაგვაბარონ, რასაკვირველია, გარკვეული პირობების გათვალისწინებით. მართალია, იარაღი გვაქვს, მაგრამ კიდევ დიდი რაოდენობით გვჭირდება ეროვნული გვარდიისათვის. ჩაგვაბარონ ტექნიკა, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ და გააუქმონ არაოფიციალური, კონტროლიდან გამოსული შეიარაღებული ფორმირებები. სამაჩაბლოში მილიციის დროულად შეყვანა იმიტომ ვერ მოვახერხეთ, რომ მილიცია იყო კონცენტრირებული აქ, თბილისში, როდესაც დაიწყო მხედრიონის პუტჩი და მათი შეიარაღებული შიმშილობა ოპერის ბაღში. ამან ძალზე დააბრკოლა ჩვენი აქტიურობა სამაჩაბლოში, ვინაიდან მთელი ყურადღება თბილისზე და შავნაბადაზე იყო გადმოტანილი, სადაც აგრეთვე შეგროვილნი იყვნენ ეს არაოფიციალური, შეიარაღებული დაჯგუფებები. იყო თბილისში პუტჩის მცდელობა, „პარადის" მოწყობის მცდელობა და სხვა. ამან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს — სამაჩაბლოს კონტროლის ქვეშ აყვანა დროულად ვერ მოხერხდა. ამის გათვალისწინებასაც ვთხოვ ჩვენდამი დაპირისპირებულ ძალებს. დაისახა პერსპექტივა ურთიერთგაგების, პოზიციების დაახლოებისა და პირველ რიგში, ეს უნდა გავითვალისწინოთ, მეგობრებო. ყველა თქვენგანის საყურადღებოდ ვამბობ: თუ არ შეიქმნა ეროვნული არმია, ჩვენ სერიოზულად ვერ შევძლებთ საოკუპაციო ჯარის გაყვანის საკითხების დაყენებას. გარდა ამისა, დიდი საფრთხეც არის, თუ არ იქნა ქვეყანა დაცული. ყველა უნდა გავერთიანდეთ ამ მიზნის მისაღწევად, ეროვნული არმიის, თავდაპირველად ეროვნული გვარდიის შესაქმნელად. მე მგონი ნათელია, რომ სხვა გზა ნამდვილად არ არის. ფეხების ბაკუნით, აქციებით საოკუპაციო ჯარს საქართველოდან ვერ გავიყვანთ. საჭიროა უფრო სერიოზული ზომების მიღება.

როგორც მოგახსენეთ, ვცდილობთ დავიქვემდებაროთ შინაგანი ჯარი, უწინარეს ყოვლისა, დავუქვემდებაროთ ჩვენს კომენდანტს. ამისათვის ჩვენ მშვიდი მდგომარეობა გვჭირდება. არ უნდა იყოს ჩვენთან შეუთანხმებელი აქციები და, რაც მთავარია, არ უნდა იყოს პარტიზანული მოქმედება სამაჩაბლოში. მე მინდა განმეორებით ვთხოვო არაოფიციალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, შეიარაღებულ პიროვნებებს, რომ ჩვენთან შეუთანხმებლად არანაირი ნაბიჯები არ გადადგან, რომ არ განმეორდეს ისეთი ტრაგედია, როგორიც მოუხდათ ხსენებულ პიროვნებებს, შესანიშნავ ახალგაზრდებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, კონტროლის გარეშე მოქმედებდნენ. უნდა ვიმოქმედოთ შეთანხმებულად. აი, ეს არის ჩვენი თხოვნა ყველას მიმართ. უნდა შეწყდეს ზოგიერთი დეპუტატის პროვოკაციული ბრალდებები რუსეთისათვის ომის გამოცხადების მოთხოვნით. ეს სიკეთეს არ მოუტანს საქართველოს, მეგობრებო. შეიძლება ჩვენ ვიყოთ რაღაც ოპოზიციური ჟინით შეპყრობილნი, ვცდილობდეთ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, დაპირისპირებას ვინმესთან და მის დისკრედიტაციას, მაგრამ საქართველო არ უნდა გადავაყოლოთ ამას. ჩვენი პირადი კინკლაობა, პირადი კონფლიქტები არ უნდა შეეხოს ეროვნულ ინტერესებს, არ უნდა შელახოს იგი. მე ყველას ამისაკენ მოვუწოდებ. ვისაც ვგულისხმობ, მე მგონი, თქვენ ხვდებით. ასე რომ, არ არის ახლა ურთიერთბრალდებების, ურთიერთდაპირისპირების დრო. გავერთიანდეთ. და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავერთიანდებით, მივაღწევთ ყოველივე იმას, რაც მიზნად გვაქვს დასახული.

ღმერთი არის ჩვენთან! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან, განუყოფელ საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსათხოვარი

### რეზო ურიდია



კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი მიემატა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავშეწირულებს, კიდევ ერთი ნაღდი ქართველი პატრიოტი გამოაკლდა ეროვნულ მოძრაობას, გამოაკლდა ოჯახს, მეუღლეა და ორ მცირეწლოვან შვილს, ნათესავებს და მეგობრებს, გამოგვაკლდა და სამარადოდ დაგვწყვიტა გული ჩვენ, წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრებს.

მტრის ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ გამოგვაცალა ხელიდან 38 წლის ვაჟკაცი. რეზო ურიდია ეროვნულ მოძრაობაში 1988 წელს მოვიდა. სიცოცხლით სავსე და სამშობლოსათვის თავდადებული მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა. ამჯერადაც იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო, სადაც საქართველოს უჭირდა. საქართველო იყო მისი ხატი და სალოცავი და სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ბრძოლის ველზე დაეცა. თავდადებულ მამულიშვილს სხვათაგან უშიშრობა და ხალასი იუმორიც გამოარჩევდა.

გვახსოვს რეზოს სიხარულით ანთებული თვალები 14 ნოემბერს, საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესიის დღეს. ყველანი აღფრთოვანებულები ვიყავით, მაგრამ რეზო განსაკუთრებით. იგი ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც საქართველოს მთავრობის სასახლის თავზე სამფეროვანი ეროვნული დროშა ააფრიალა.

ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ რეზო საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის უდრეკად კეთილშობილურ საქმეს შეეწირა, მის სახელს დავიწყება არ უწერია, მისი ხსოვნა საქართველოსათვის დაღუპულ სხვა მებრძოლებთან ერთად გაგვინათებს მის მეგობრებს დამოუკიდებლობისაკენ სავალ ეკლიან გზას.

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება**

### დავით გარდიაშვილი



ცხინვალში 1990 წლის 12 დეკემბერს მტრის მუხანათურად ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა დათო გარდიაშვილი, 27 წლის ქართველი ვაჟკაცი. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლის შემდეგ დათო აქტიური მონაწილე იყო ამ მოძრაობისა. იგი არცერთი პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო მისთვის უმთავრესი და უწმინდესი მიზანი.

ამ ბოლო დროს საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში საოცარი სიამაყითა და სიხარულით ავსებდა. ჩვენთვის, დათოს მეგობრებისთვის, უდიდესია დათოს დაკარგვით მიყენებული ტკივილი, თუმცა ეს განშორება პირობითია, იგი მხოლოდ ფიზიკურად დაგვშორდა, თორემ სულიერად მუდამ ჩვენთან იქნება.

დათოს მშობლებს კი ამ სიტყვებით გვინდა ვანუგეშოთ: ქართველი ერი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას სანთლებად აინთებს და შვილიშვილად გადასცემს მათ სახელებს.

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება.**

## ქრონიკა, ინფორმაცია

1990 წლის 15 დეკემბერს, რუსთაველის საზოგადოების ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის მეორე კონგრესზე გადაწყდა: ასოციაციას ეწოდოს „საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია“, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანულ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ საქართველოს ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ორგანიზაციას და თავის უმთავრეს მიზნად ისახავს საქართველოს ახალგაზრდობის ძალების კონსოლიდაციას და აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკის ცხოვრებაში; იმავდროულად ასოციაცია წარმოადგენს საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საბაზო ორგანიზაციას.

კონგრესმა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია მამუკა აბულაძე.

●

16 დეკემბერს, თბილისში კინოს სახლთან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც მოითხოვეს საოკუპაციო ჯარების გაყვანა სამაჩაბლოდან (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქიდან); სამაჩაბლოში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა აგრეთვე 17 დეკემბერს, მთავრობის სახლთან გამართული მიტინგი.

●

15 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პირველი ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ დემოგრაფიული საზოგადოების სადროშოების, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების და მიზნობრივი კომიტეტების კონფერენციებზე არჩეული დელეგატები, საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე უცხოელი სტუმრები.

ყრილობამ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა; შეიტანა ცვლილებები წესდებაში და აირჩია ახალი ხელმძღვანელი ორგანოები, საკონტროლო და სარევიზიო კომისია. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია მიხეილ ქურდიანი, ვიცე-პრეზიდენტებად ილია ბეგიაშვილი და კობა ჯიბლაშვილი.

---

საზოგადოება „ფერეიდნელი ქართველი“ აღტაცებულია არაკანონიერი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებით. ღმერთო, სამშობლო გვიცოცხლე, სულ მუდამ ამას ვბუბუნებთ.

---



# ვნანობ, რომ ვერ ვისროლე...

**პარასკევს, დილით, თბილისის № 1 საავადმყოფოში ჩამოიყვანეს 12 დეკემბერს ცხინვალში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი მოქალაქეები. ჩვენი კორესპონდენტი საავადმყოფოში შეხვდა ერთ-ერთ მათგანს ჯემალ გუნდიშვილს და სთხოვა მოეთხრო ამ ინციდენტის შესახებ.**

**— ჯემალ, რა მოხდა იმ დღეს?**

— ფაქტიურად, რაც ახლა სამაჩაბლოში ხდება, ყველამ კარგად ვიცით. მე რომ ვილაპარაკო იქ უაზროდ ვიყავით ჩასული-მეთქი, მართალი არ იქნება. ერთი რამეა: მე თვითონ წარმოშობით ვარ იქიდან, სოფელ ძარწემიდან. გუნდიშვილების სოფელია ეს. უფრო სწორად ამ სოფლიდან არიან გუნდიშვილები. ფუძე იქ გვაქვს.

მე და რეზო ურიდია ვართ სრულიად საქართველოს ფლორისა და ფაუნის დამცველთა საზოგადოების წევრები. საზოგადოების დავალებით 12 დეკემბერს, საღამოს, ცხინვალის მისადგომებთან უნდა დავხვედროდით სატვირთო მანქანებს, რომლებსაც დაახლოებით ერთი წლის წინ სამაჩაბლოში დაღუპულ ქართველთა ოჯახებისთვის უსასყიდლოდ გამოყოფილი ავეჯი უნდა მიეტანათ და მიგვეცილებინა მანქანები დანიშნულების ადგილამდე რადგან მძღოლებს ცხინვალში შესვლისა ეშინოდათ. თან გვახლდა ორი ჩვენი მეგობარი. რადგანაც ადრე ვიყავით ჩასულნი, გადავწყვიტეთ, რომ ჯერ სოფელ ძარწემში ჩემს ნათესავებთან შევვლილიყავით, ხოლო შემდეგ გადავსულიყავით სოფელ გუჯაბაურში. სოფლიდან სოფელში გადასვლისას კი ცხინვალი აუცილებლად უნდა გაგვევლო.

ცხინვალის შესასვლელიდან შევამჩნიეთ უკვე, რომ მილიციის მანქანა გამოგვყვა უკან. ჩვენი მანქანის წინ ჩემი ბიძაშვილი მიდიოდა 05-ით, იმიტომ, რომ სოფელ გუჯაბაურის გადასახვევი არ მახსოვდა. მან გადასახვევამდე მიგვაცილა. თვითონ ბაზარში წავიდა და გვითხრა, სოფელში მოგვაკითხავდა. მივედით სოფელში, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი სახლში არ დაგვხვდა. ამიტომ მოვბრუნდი და დავიბარე, რომ ხეობაში ვიქნები და გამომაკითხოს-მეთქი.

ჩვენ რეზო ურიდიას მანქანით ვიყავით. ჩემმა ნათესავმა, რომელმაც სოფლის გადასახვევამდე მოგვაცილა, იქ ველარ მოგვისწრო. ჩვენ წამოვედით და დაველოდეთ იქვე, ცხინვალის შესასვლელში, მე მგონია ლენინის ქუჩაა ის. ჩვენ გავჩერდით ქალაქის მიმართულებით, დაახლოებით ორას მეტრში. ჩვენს უკან ისევ გაჩერდა მილიციის მანქანა: 06. — გაი-ის მანქანა იყო.

**— ნომრები არ ემჩნეოდა თუ არ დაკვირვებიხართ?**

— არ დავკვირვებივართ. რეზომ თქვა, ეს მანქანა რაღაც უშნოდ დაგვდევსო. ჩვენ ყველამ გავიხედეთ უკან. შეგვამჩნიეს, რომ ვუყურებდით, და გადაგვისწრეს. ჩვენ იმავე ადგილზე დავრჩით. ამ დროს მოვიდა ჩემი ბიძაშვილიც, ბაზარში რომ იყო წასული, მან მოაბრუნა მანქანა და გაგვიძღვა წინ. უნდა ჩავსულიყავით კეხვში, მაგრამ... იცით, ზუსტად ვერ გეტყვით რა მანძილი გავიარეთ. ალბათ 300-დან 600 მეტრამდე. შეიძლება ვცდები, მაგრამ დაახლოებით ასე იყო. წინ ვიჯექით მე და რეზო, ჩვენს წინ მიდიოდა ჩემი ბიძაშვილი 05-ით. რეზო იჯდა საჭესთან, მე — მარჯვნივ... სხვათა შორის, ჩვენც გვქონდა იარაღი. ჩვენ გვქონდა ტაბელური იარაღი, რომლის ტარების ნებართვაც ორივეს გვქონდა. უკან გვიჯდა ორი მეგობარი. მათ იარაღი არ ჰქონდათ. გარკვეული მანძილი რომ გავიარეთ, გადაგვისწრო რამდენიმე მანქანამ. ერთ-ერთი მანქანა წინ გაგვიჩერეს და გზა ჩაგვიკეტეს. მე, თუ სხვანაირად არ გამიგებთ, იმ მანქანის ნომრებს, რომლებიც ვიცი, არ დავასახელებ, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით.

**— კეთილი...**

— სხვადასხვა მარკის მანქანები იყო. წინა მანქანიდან გადმოვიდა ერთი კაცი, ამოიღო მილიციის საბუთი. მას ფორმა ეცვა, ზემოდან კი — ქურთუკი. წამოვიდა ჩვენსკენ. ამ დროს უკნიდან ვიღაც ჩვენი მანქანის კარებს დაეჯაჯგურა. ის, ვინც წინ იყო, გაიწია გვერდზე და ამ დროს გაისმა სროლა. ტყვიამფრქვევი იყო, დავინახე.

**— „ჟიგულიდან“ ისროლეს?**

— საქმე რაშია, იცით, „ჟიგულიდან“ კი არ ისროლეს, არამედ ტყვიამფრქვევიანი კაცი გადმოსული იყო მანქანიდან.

**— რა მარკის მანქანიდან?**

— „ჟიგულიდან“. ტყვიამფრქვევის ჯერი ჩვენს მანქანას მარცხენა მხრიდან მოხვდა. თავიდან მე ვერ შევამჩნიე, რომ დაჭრილი ვიყავი. უკან მოვიხედე და ამ დროს შუბლთან გამკრწლა ტყვიამ, თითქმის გავითიშე, თუმცა გონება მთლიანად არ დამიკარგავს. მე რომ უკან მივიხედე, დავინახე, ის კაცი, ვინც ჩვენი მანქანის უკანა კარი გააღო, ავტომატით იყო. ის მანქანაში შემოგვივარდა ავტომატით და დათო... აწგარდაცვლილი, ეცა ავტომატის ლულაში. ავტომატის ჯერი წავიდა მანქანის ჭერისაკენ. ამ დროს მე ვიძახდი, რეზო დაქოქე-მეთქი მანქანა, მე სახე სისხლით მქონდა შეღებილი, საკუთარ თავს კოორდინაციას ველარ ვუწევდი. მოვიწმინდე თვალებიდან სისხლი და დავინახე, რომ რეზოს ტყვია შუბლში ჰქონდა მორტყმული. ამის მერე დავინახე ლულაგადაჭრილ თოფიანი კაცი. მე ვერ შევძელი ჩემი იარაღი ამომეღო. როგორც მერე ვიგრძენი, ხელშიც დაჭრილი ვიყავი, ოღონდ საფანტით. საფანტი თოფიდან იყო ნასროლი. კარის გაღება მინდოდა, ხელს ვერ ვხმარობდი და მთელი ტანით დავიხარე კარის სახელურისაკენ. ამ დროს წამოვიდა მეორე ჯერი... რეზოს, წარბებს ზემოთ თითქმის მთლიანად წააცალა თავის ქალა... მერე თითქოს სროლა შეწყდა. როგორც იქნა მანქანიდან გამოვაღწიე. ამოვიღე პისტოლეტი, მაგრამ ხელში ვერ დავიჭირე, დამივარდა... გეფიცებით, ყველაზე მეტად იმას ვნანობ, რომ ვერ ვისროლე! მერე წაგვაქციეს...

სასწრაფო დახმარების მანქანაში შეგვიყვანეს, და ასე თუ ისე, მივაღწიეთ ცხინვალის საავადმყოფომდე.

**— ვიცით, რომ ცხინვალიდან გორის საავადმყოფოში უნდოდათ თქვენი გადაყვანა...**

— კი, მართალია, მაგრამ ჩვენ გარანტია ვერავინ მოგვცა, რომ გზაში არ დაგვხოცავდნენ. ცხინვალიდან ღამით, ასე ორის ნახევარზე სამხედროებმა გადმოგვიყვანეს.

**— ჯემალ, პრესაში გამოქვეყნდა, რადიოთი და ტელევიზიით გადმოიცა, რომ იქ, იმ ავბედით დღეს, სამი გარდაიცვალა და სამი დაიჭრა. თქვენ რას იტყვით?**

— სამი გარდაიცვალა, დაიჭრა ორი. სამი გარდაცვლილიდან ერთი არის მეორე მხარის წარმომადგენელი, ცხოვრებაშვილი. სინამდვილეში კი ცხოვრებოვი, — ორი ჩვენია. გამორიცხულია, რომ ცხოვრებოვი ჩვენი იარაღით იყოს მკვდარი, რადგან ჩემსა და რეზოს გარდა ჩვენს მეგობრებს იარაღი არ ჰქონდათ. რეზო პირველი სროლის მერე გარდაიცვალა, მე კი დაჭრილი ვიყავი და კინაღამ შოკში ჩავვარდი.

**— ესე იგი, სავარაუდოა, რომ იმათივე ტყვია მოხვდა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვისვრია და აბა სხვა რას შეიძლებოდა მოეკლა?

**— გამოდის, რომ ფაქტიურად ორი დაიჭერით? მეორე ვინ არის?**

— მეგობარია.

**— გვარი, სახელი?**

— გვარს და სახელს... აუცილებელია? ინფორმაციაში დასახელებული იყო ორი გუნდიშვილი. სინამდვილეში ორივე მე ვარ: ჯემალიც და გოგიც. უბრალოდ ვერ გაარკვიეს, რომ სამი კი არა, ორი დაიჭრა.

**— გმადლობთ. გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.**

ესაუბრა **ბესო ჯინჭარაული**

**ზურაბ ქავთარაძის** ფოტო.

## საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გამგეობის

# მიმართვა

## სამაჩაბლოს მშრომელებისადმი

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია ძალზე შეაშფოთა უკანასკნელ ხანს სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებმა, განსაკუთრებით ახლახანს გამართულმა ე. წ. „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებმა". აღნიშნული ფაქტი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენს რესპუბლიკაში ისედაც დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების გრძელი და თანმიმდევრული ჯაჭვის მორიგი რგოლი.

საქართველოში ჯანსაღი ეროვნული ძალების გამარჯვებამ, ხელისუფლების სათავეში ჭეშმარიტად დემოკრატიული პარლამენტის მისვლამ, ყველა წინაპირობა შექმნა რესპუბლიკის სრული სახელმწიფო სუვერენიტეტისაკენ მიმავალ გზაზე უფრო ჰარმონიული, პროგრესული წინსვლისათვის.

მაგრამ სამაჩაბლოში გარკვეული წრეები, რომლებსაც სეპარატისტული მიზნები ამოძრავებთ, არ გამოხატავენ ოსი ხალხის სურვილებს, ისინი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონოლითურობის დარღვევისაკენ ისწრაფვიან, მათ სცადეს თავიანთი შორს გამიზნული ზრახვების „კონსტიტუციურად" გაფორმება. ამ აქტის უსამართლობა სწორად შეაფასა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ქართველმა ხალხმა.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გამგეობა, მხარს უჭერს რა რესპუბლიკის პარლამენტის ერთადერთ და სწორ გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის საოლქო ფორმირების გაუქმების თაობაზე, მიზანშეწონილად თვლის:

— გაუქმდეს პროფკავშირების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების სტრუქტურაში, როგორც დამოუკიდებელი ტერიტორიული გაერთიანება;

— წინადადებით შევიდეს საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოში, კონფედერაციასა და პროფკავშირების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს შორის ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე;

— პროფკავშირების ყოფილი სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოში შემავალ პირველად პროფორგანიზაციებს მიეცეთ წინადადება უშუალოდ გაერთიანდნენ პროფკავშირების დარგობრივ რესპუბლიკურ გაერთიანებებში.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია მიმართავს სამაჩაბლოს ყველა მშრომელს, მიუხედავად ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენისა, ამ საპასუხისმგებლო მომენტში გამოიჩინოს შეგნებულობა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მეგობრობის და ძმობის ისტორიული ტრადიციების, საერთო ჰუმანური იდეებისადმი ერთგულება. დღეს ჩვენს წინაშე დგას ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და სოციალური აღორძინების ამოცანები, რომლებიც გადაუდებლად მოითხოვენ გადაჭრას.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია მოუწოდებს სამაჩაბლოს ყველა მშრომელს წინ აღუდგეს პროვოცირებული ეთნოკრიზისის რეალურ საფრთხეს, ღირსეულად შეებრძოლოს ბოროტ ძალებს.

კონფედერაცია დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს ჯანსაღი აზრი და ერთიან საქართველოში გაბატონდება თანხმობა და მშვიდობა.

სს „საქართველო"

---

**ბატონო რედაქტორო**

1924 წლის 28 აგვისტოს მოხდა ჭიათურის აჯანყება, რომლის დამარცხების შემდეგ მისი ერთ-ერთი მოთავე ვ. ჩუბინიძე იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო საფრანგეთში. აქ ვ. ჩუბინიძემ გამოსცა „მოგონების" 2 ტომი. აღწერს რა იმდროინდელ საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ პერიპეტიებს, აქვეყნებს იმათ სიას, რომლებიც ბოლშევიკურ ტირანიას შეეწირნენ. მოგეხსენებათ, ისინი ვაგონებით ჩაიყვანეს შორაპანთან ახლოს და ტყვიამფრქვევების ცეცხლით შიგნით ამოჟლიტეს.

მიგვაჩნია, რომ ამ სიის გამოქვეყნება დღესდღეობით აუცილებელია! ერმა უნდა იცოდეს იმათი სახელი, ვინც იარაღს მოჰკიდა ხელი და წინ გადაუდგა ჩრდილოეთიდან შემოსეულ ბარბაროსებს! სიის გამოქვეყნებით იმის იმედიც გვაქვს, რომ შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ტრაგედიის ადგილს, სადაც აუცილებელია აღიმართოს ობელისკი!

პატივისცემით,
**შადიმან ბიწაძე**

# ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

**სოციალ დემოკრატები,**
**მუშები:**
1. ბერძენიშვილი ილიკო
2. ცერცვაძე იოველ
3. ცერცვაძე ერემია
4. დოლიძე შალვა
5. სარალიძე კალისტრატე
6. ჯაფარიძე ილიკო
7. სამყურაშვილი პორფილე
8. სამყურაშვილი არტემა
9. ქველაძე პარმენ
10. სამხარაძე ილია
11. ნადირაძე სანდრო
12. კეკელიძე ილიკო
13. გამყრელიძე გრიშა
14. გამყრელიძე აკაკი
15. არაბიძე არჩილ
16. ლოლაძე აკაკი
17. ჰიჰინაძე ბიქტორ
18. თოდრიაშვილი სოგრატ
19. ჭავჭანიძე შალვა
20. კაპანაძე არჩილ
21. ციმაკურიძე ლადო
22. ქურციკიძე დათიკო
23. ვაკოიშვილი კოწია
24. ბარათაშვილი გამო
25. გამყრელიძე ნოე
26. არსენაძე ვლადიმერ
27 კობახიძე სინო
28. სამხარაძე ნიტუშა
29. ცაბაძე დათიკო
30. აბულაძე გრიშა
31. ასათიანი გრიგოლ
32. ნიქატაძე რაჟდენ
33. შეყილაძე გიორგი
34. ხვედელიძე გიორგი
35. მაჩიტაძე გიორგი
36. გაბუნია დარისპან
37. მიქაბერიძე დომენტი
38. აბესაძე აიხა
39. სარალიძე ისაკი
40. მოდებაძე თანოს

**სოფლის მუშები:**

41. მიქაძე პოლიკარპე
42. ხელაძე გიორგი
43. ჰიჰინაძე გრიგოლ
44. მიხელიძე მიხეილ
45. ვარდოსანიძე მოსე
46. ბრეგვაძე მაქსიმე
47. გაფრინდაშვილი შალიკო

**სტუდენტები და მოწაფენი:**

48. სამყურაშვილი კოწია
49. სამხარაძე პარმენ
50. ხარშილაძე ნიკო
51. შარაშიძე ნიკო
52. სარალიძე კოლია
53. ფხალაძე ვანო
54. ჯაჯანიძე მიშა
55. ჯაფარიძე თენგიზ
56. კოკიაშვილი ჰუკია
57. ლოსაბერიძე რაჟდენ
58. კეკელიძე გრიშა

**მასწავლებლები:**

59. მაჭარაშვილი სერაფიონ
60. მაჭარაშვილი ვალიკო
61. მაჭარაშვილი ალექსანდრე
62. უგლავა კონსტანტინე
63. კაკაბაძე ბესარიონ
64. გორდაძე სიმონ
65. ბოჭორიშვილი ტერენტი
66. აბაშიძე ვანო

**დაწესებულებათა მოსამსახურენი:**

67. მელიქოვი ბ[illegible]
68. ჩხენკელი ვანო
69. ჯორბენაძე ვალოდია
70. წერეთელი ნიკუშა
71. იოსელიანი გილა
72. ჯუღელი შალიკო
73. რობაქიძე გიორგი
74. ბურჯანაძე ლადო (სამხ. პირი)

**სოც. ფედერალისტები:**

75. იაშვილი ჭუნია
76. მასხარაშვილი ლავრენტი
77. მიქაშავიძე ვალერიან

**სოც. რევოლუციონერები:**

78. ვაშაძე ლადო (მუშა)
79. გაფრინდაშვილი ვალერიან (სამხ. პირი)

**ეროვ. — დემოკრატები:**

80. წერეთელი ნესტორ (მრეწველი)
81. წერეთელი სანდრო

**უპარტიოები:**

82. ვაშაძე იონა
83. ჰიჰინაძე ვლადიმერ
84. გელაშვილი დათიკო
85. ნაფეტვარიძე ლადო

**სოფ. მუშები:**

86. ლილუაშვილი ვლადიმერ
87. დითიაშვილი ვლადიმერ
88. მიქაბერიძე კოწია
89. მიქაძე ლავრენტი
90. კვინიხიძე ლავრენტი
91. ცქიფურიშვილი მიხა

**დაწეს. მოსამსახურენი:**

92. წერეთელი გიორგი (ხაზ. მოსამართლე)
93. მოდებაძე კიმოთე
94. ხვედელიძე ლავრენტი
95. მოდებაძე ნიკო (სამხ. პირი)

ვ. ჩუბინიძე „მოგონება" 2. ტომი. პარიზი 1953. გვ. 275-278.

---

## საქართველოს ახალგაზრდული კავშირის

# განცხადება

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი მთლიანად უჭერს მხარს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ სამართლიანად გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

საქართველოს წარსულში შიდა ქართლი ტრადიციულად ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნული სიამაყისა და ძლიერების სიმბოლო. ამიტომ კიდევ უფრო სასიხარულოა ამ რეგიონში სახელმწიფოებრივი სამართლიანობის აღდგენა.

ჩვენ, რესპუბლიკური ორგანიზაციის სახელით, მოვუწოდებთ ისტორიული შიდა ქართლის ახალგაზრდობას განურჩევლად ეროვნებისა, განსაკუთრებით კი მათ, ვინც გაერთიანებულია საქართველოს ახალგაზრდულ კავშირში, ყოველი ღონე იხმარონ უმოკლეს დროში სტაბილური მდგომარეობის მისაღწევად.

მიგვაჩნია, რომ ქართველი ერის ამ ძირძველ მიწაზე ახალი ქართული სოფლების გამრავლება, ქართული ეთნოსის აღორძინება ხელს შეუწყობს ქართველი და ოსი ხალხების ბუნებრივ მეგობრობას და ურთიერთპატივისცემას.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი სამაჩაბლოს ახალმოსახლეთათვის გადარიცხავს 70 ათას მანეთს.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ხათათბირო**

---

# დიალოგი გრძელდება

გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს ეროვნული კონგრესის პოზიციათა დაახლოების გზაზე. მიღწეული მორიგების თანახმად, 13 დეკემბერს გაიმართა მათი წარმომადგენლების მეორე შეხვედრა, რომელიც უმთავრესად მიეძღვნა რესპუბლიკაში არაფორმალურ შეიარაღებულ ფორმირებებთან და მართლწესრიგის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის სპეციალური კომისიის შემადგენლობის პარიტეტულ საწყისებზე შექმნას.

ორივე მხარემ საჭიროდ მიიჩნია, რომ კომისიის შემადგენლობაში უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებთან ერთად, იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შედიან არც ერთ ამ ორგანოში. კომისიის წევრთა საერთო რიცხვი 15 კაცია.

კომისიის შემადგენლობის საბოლოო დამტკიცებასთან, აგრეთვე მისი უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს გადაწყვეტენ შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს.

სს „საქართველო".

---

# „ახლანდელი რწმენის იმედი მაქვს" ანუ ვაკეთოთ ფული!

**მე** ფერმერი ვარ, — ამბობს ზურაბ გოჩიტაშვილი, 19 წლის, საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტი, — საბუთები წელს გადავიტანე დასწრებულიდან. სოფელში წამოვედი და ველარ ვასწრებდი.

ზურამ 102-ე სკოლა დაამთავრა. საბურთალოელ ბიჭებს დროის გატარება მაინცდამაინც არ უჭირთ ხოლმე და მით უმეტეს არც ზურა ყოფილა გამონაკლისი. ამიტომაც უკვირს დედას, ქალბატონ დალის, როგორ შეელია მისი შვილი მხიარულ ცხოვრებას, ძმაკაცებს, ინსტიტუტს...

— იცი, ანა, მომბეზრდა ყველაფერი: ამდენი კომპლექსი, ბირჟა, ქეიფი.. ბოლოს უსაქმურობაც მოგწყინდება კაცს.

და წამოვიდა ზურაც მამაპაპისეულ სოფელ ნუკრიანში. მარტო კი არა, აჩიკო მაზიაშვილთან ერთად. იგი ტექნიკური უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტია. ისიც დაუსწრებელზე გადადის. ეს ბიჭი პირველ რიგში ჩემი მეგობარია, ყველაფერში გაგებული და ცხოვრებაზე ნაღდი აზრის მქონეო, — ამბობს ზურა. სულ მალე კიდევ ერთი მშრომელი კაცი მიემატება მათ კომპანიას — თემო ქუფარაშვილი და მაშინ უკვე ნამდვილი საქმე წავა. მანამდე კი...

— ახლა 120 ნუტრია მყავს. გაზაფხულზე ალბათ ყარსალებიც მეყოლება, თუმცა ჯერჯერობით ერთი პრობლემაა გადასაწყვეტი: ახლომხელმა შენობა მათხოვა ფერმისთვის, მაგრამ ცოტა შორსაა, წნორში. უკვე თვეზე მეტია განცხადება შევიტანე ზემო მაღაროს კოლექტივში, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღია. ჩვენ ვითხოვთ მიწას, რომელიც არც სათესად ვარგა, არც სახნავად, ფერმისათვის კი... თუ არ მომცეს ეს ნაკვეთი... თუმცა რატომ არ უნდა მომცენ. კარგ საქმეს ვაკეთებ. ბოლოსდაბოლოს სოფელსაც გამოადგება.

— ზურა, როდის დაგებადა სოფელში წასვლის სურვილი?

— როდის? როდესაც მივხვდი, რომ ცხოვრებაში ხელს თუ არ გაანძრევ, არაფერს გააკეთებ, გაგიჭირდება. ამიტომ ჩვენ, მე და აჩიკომ, გადავწყვიტეთ, ჩამოვსულიყავით აქ, გაგვეკეთებინა საქმე და ფული. მე მგონი, ამის თქმა სირცხვილი აღარ არის, არა?

— რადგან ფულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, წინასწარ ხომ არ შეგიძლია მითხრა რამდენი იქნება მოგება?

— ორი წელი მოგებას არც ველოდებით. მერე კი ალბათ 200000 გავიყოფთ სამივე.

— გასავალი?

— თითომ შეიძლება 10 000 მანეთი დავხარჯოთ, ან 15-იც. ერთი ცალი ნუტრია 120-130 მანეთი ღირს, მელია უფრო მეტი. მაგრამ ჩვენ მარტო ბეწვის გაყიდვას არ ვაპირებთ. ნუტრიის ხორცი პირველი ხარისხის საკვებ ხორცად ითვლება.

— ფინანსურად მშობლები გეხმარებიან არა?

— კი, ძალიან. შენც იცი, ბავშვობიდან რასაც ჩავიფიქრებდი, ვასრულებდი. ახლა ეს საქმე წამოვიწყე და ხელი არ შეუშლიათ, პირიქით, მხარს მიჭერენ. მეხმარება უფროსი ძმაც, დათო, უმცროსმა კი დღეს ნუტრიებს წყალი დაუსხა. ასე რომ, ჯერჯერობით არ მიჭირს.

— ხომ არ გიფიქრია, დავანებებ ყველაფერს თავს, მეტი აღარ შემიძლია, წავედი თბილისშიო.

— ალბათ იქნება ასეთი მომენტიც. მაგალითად, ნუტრიამ რომ მიკბინა ხელზე, კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ... ეს დროებითია. საკმარისია მომავალზე ვიფიქრო, რომ...

მართალია, მომავალზე ფიქრი და საქმის კეთების სიყვარული თუ გააძლებინებს თბილისელ ბიჭს სოფელში. ისიც ზამთარში და თანაც მარტოს. თუმცა ისეთი დატვირთული დღე აქვს, მარტოობისათვის არც სცალია.

— 8 საათზე ჯერ ნუტრიებს ვაჭმევ, მერე ქათმებს, ცოტა ხანში მეც ვსაუზმობ და მივდივარ ბალახის მოსატანად. ჯერჯერობით კარგი ამინდებია და ცხოველებისათვის საკვებს თვითონ ვამზადებ. სადილობამდე ეზოში ვმუშაობ. მერე ისევ ნუტრიებს ვუვლი. სპეციალურ ლიტერატურას ვკითხულობ. ინსტიტუტში ჩემთვის საინტერესო ჯერჯერობით არაფერი უსწავლებიათ. ასე რომ, უქმად არა ვარ. საღამოობით აქაურებთან ერთად კინოში დავდივარ ან... საქეიფოდ. გეცინება? აქ სხვანაირი დროსტარება იციან. ღამე კი... (ზურა ძალიან კარგად უკრავს გიტარაზე).

— ამ წერილის მერე ალბათ ბევრს გაუჩნდება სურვილი რაიმე საქმის წამოწყებისა. როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო?

— ჯობს ყველამ რაღაცა გააკეთოს, ან ისწავლოს ისე როგორც მე ახლა ვმუშაობ. ან ...მოკლედ, ყველამ საქმე აკეთოს — ან ნამდვილად ისწავლოს, ან ნამდვილად იმუშაოს.

— მეგობრები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?

— საქმეში ჩაგვაყენე, ძმაოჰო, ასე მითხრეს. ახლა ყველას უნდა ფულის გაკეთება. მაგრამ მე ვიცი, რომ იმათთან ერთად არაფერი გამომივა, არ არიან საქმის ხალხი.

— ყოველ დღე რომ თითო სურვილი გისრულდებოდეს, რას ინატრებდი?

— პირველ რიგში? ახლა ისე მიჭირს, რომ ალბათ — გამართულ ფერმას. აი, იმ ადგილზე, მალე რომ მომცემენ, მერე? მერე — აღარაფერს. სულ რომ ინატრო და ინატრო, მოგბეზრდება ისიც. როცა ყველაფერი თავისით მოვა, შეიძლება გაგიჟდე, რომ დათვრები, თოფი ინატრო და... იცი რა? არმინდა ყოველდღე სურვილის ასრულება.

— ზურა, გჯერა დღევანდელი მთავრობის?

— კი. რომ არ მწამდეს, საქმეს არ დავიწყებდი. უფრო სწორად, ახლანდელი მთავრობის კი არა, ახლანდელი რწმენის იმედი მაქვს!

**ანა ზაზნიძე,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

# რწმენითა და სიყვარულით



# გივი ჩუგუაშვილი: „სანუკვარზე ხმამაღლა არ ითქმის...“

**— იცნობთ თქვენს თავს?**

— თავს თუ შესაძლებლობებს?

**— თქვენს პიროვნებას...**

— საკუთარ თავს რომ ვიცნობდე, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა. მთელი ჩვენი ცხოვრება საკუთარი თავის ძიება, საკუთარი თავის შეცნობის გზაა, თქმაც კი უხერხულია, რომ თავს იცნობ, მით უფრო, რომ საკუთარი თავის ამოცნობაში უფრო სუბიექტურნი ვართ.

**— როგორი როლის თამაში გირჩევნიათ, თქვენ რომ გგავთ, თუ საპირისპირო ხასიათისა?**

— სულ სხვა პიროვნების თამაში უფრო საინტერესოა, თუმცა საკმაო დრო მჭირდება მასთან დასაახლოვებლად. ვცდილობ, გავუგო მის ხასიათს.

**— გაამართლებთ?**

— არა, ამოვდივარ იმ პრინციპიდან, რომ უმეტეს შემთხვევაში ყველა თავისი თავის წინაშე მართალია და ამ სიმართლეს ვეძებ, მისთვის გამართლებულ კუთხეს ვეძებ ამა თუ იმ ქმედებისას. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემთვის მისაღებია ეს ქმედებანი, რომ მე შემიძლია მსგავსი რამ ჩავიდინო ცხოვრებაში — საკუთარ თავს ხომ ვერ გადაახტები.

**— ეხე იგი, იცნობთ თქვენს თავს?**

— თავს თუ შესაძლებლობებს?

ჩემს წინაშე შავგვრემანი, სიმპათიური მამაკაცი ლაღად, მშვიდად ზის, მაგრამ მაინც ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ეს-ესაა ცხენიდან ჩამომხტარა და ერთი სული აქვს, ისევ მოახტეს და გააქროლოს — მთელი მისი გარეგნობიდან დაჭიმული ზამბარის ძალა და ქართული რაინდული თავაზიანობა გამოსჭვივის.

გივი ჩუგუაშვილი კოტე მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობია. მაყურებელი მას იცნობს სპექტაკლებით „ჰაკი აძბა“, „ოტელო“, „ანა კარენინა“, „ჯაყოს ხიზნები“, „შიში“, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“, „გრაალის მცველნი“. ამჟამად მუშაობს ზვიად სპასალარის როლზე სპექტაკლში „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელსაც რეჟისორი დავით ანდღულაძე დგამს კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

უფრო ადრე გივი რუსთავის თეატრში მუშაობდა: თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქ გაანაწილეს და პირველი როლიც, რომელმაც ძალა, რწმენა და სიხარული შემმატა, რუსთავში ითამაშა. ეს იყო როდოლფო რეჟისორ თამაზ მესხის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ცილინდრი“ (პიესის ავტორი ედუარდო დე ფილიპო), თბილად იგონებს თავის შესანიშნავ პარტნიორებს ნათელა მუხურიშვილს, ლეო ფილფანს, აწ განსვენებულ ჯემალ გაგნიძეს და სხვებს, შესანიშნავი რეჟისორის გია ანთაძის პირანდელოსეულ „ავტორის მაძიებელ ექვს პერსონაჟს“...

**— ბატონო გივი, თემურ ჩხეიძემ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით ორი შესანიშნავი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სპექტაკლი შექმნა. ტელესპექტაკლის ჯაყო — ავთანდილ მახარაძე ღრმად აღიბეჭდა მაყურებელთა ხსოვნაში, თქვენი ჯაყო კი სრულიად სხვა და ახევე ძალიან საინტერესო სახეა. როგორ მოახერხეთ ეს?**

— ალბათ იმიტომ, რომ სწორედ განმეორებისა მეშინოდა. ავთომ ისე კარგად ითამაშა, მიბაძვის ცდუნებისაგან თავის დაღწევა მართლაც ძნელი იყო. ბატონი თემურის დამსახურებაა, რომ სხვა გზაზე დამაყენა, ახლებურად გამიხსნა ხასიათი. მთელი დასი უდიდესი სიფრთხილით ვუვლით და თავს დავფოფინებთ სპექტაკლს, ყველა წარმოდგენას პრემიერის განწყობილებით ვთამაშობთ, ამიტომაა, რომ სპექტაკლმა დღემდე შეინარჩუნა პირვანდელი სიცხოველე.

**— ბატონო გივი, როგორ ათავსებთ კინოსა და თეატრში მუშაობას?**

— იცით, როცა სამუშაო არა მაქვს, ჩემზე უბედური კაცი არ მეგულება. ერთი უცნაურობა კი მჭირს, საკმარისია თეატრში გამომიჩნდეს როლი, რომ კინოშიც მიმიწვევენ — ამაზე ლამაზი დღეები მე სხვა არა მაქვს.

**— თქვენს კინოროლებზე რას გვეტყოდით?**

— ჩემი ყველა როლი შვილებივით განურჩევლად მიყვარს, სულ პირველი უმნიშვნელო ეპიზოდიც კი „დიდოსტატის მარჯვენაში“. ამ ფილმზე მუშაობისას სტუდენტი ვიყავი და მიხაროდა სტუდიაში ყოფნა, თავი მომქონდა... შემდეგ ვითამაშე აბულ მურატი გიორგი კალატოზიშვილის ფილმში „კავკასიელი ტყვე“, არლუნ ნოინი ფილმში „დიმიტრი თავდადებული“ (რეჟისორი ბუბა ხოტივარი), ძმა (ალეკო ნინუას „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“), სოციალისტი (თემურ ბაბლუანის „ძმა“), მუსაბეკი (გიგა ლორთქიფანიძის „წიგნი ფიცისა“) და სხვ.

**— ეგ როლები გვახსოვს. რა ახალ ფილმებში გადაგიღეს?**

— წელს ხუთ სურათში ვითამაშე და თითქმის ყველა მთავარი როლია. ესენია ზაზა ბუაძის „ქედელი“, რომელიც რეპრესიების წლებს ეძღვნება. ჩემი პერსონაჟი, ზედამხედველი, არავის ყურადღებას არ აქცევს, არავის საქმეში არ ერევა, ერთგვარად თითქოს მხოლოდ მიჰყვება მოვლენებს, მაგრამ ბოლოს მჟღავნდება, რომ იგია თავი და თავი ეკრანზე დატრიალებული ყველა უბედურებისა. ზაზა ხალვაშის „მეწყერს“, სადაც ხუთი ძმიდან უფროსს ვთამაშობ, აჭარის დღევანდელობა უდევს საფუძვლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სურათი ნ. მანაგაძის „ნოესთან“ ერთად ფრანგმა სპეციალისტებმა კანის ფესტივალზე წარსადგენად შეარჩიეს. მესამეა ოთარ კობერიძის დეტექტური ფილმი „საბედისწერო გასროლა“. ყველა სახიფათო მომენტი კასკადიორების გარეშე გადავიღეთ. ერთ ქარიან დღეს ნიჩბისში ვერტმფრენიდან კოშკის თავზეც კი ჩავხტი. მოკლედ, თითქოს სხვა სამყაროში გადავედი და განვიმუხტე.

რეჟისორმა ერეკლე ბადურაშვილმა მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“ გადაიღო. მე ვითამაშე მამა, რომელიც მხოლოდ ბოროტებას თესავს და, ღვთის წყალობით, იმკის კიდეც. ბოლოს, გულას როლი შევასრულე რეჟისორ მანანა იმედაძის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვრის“ მიხედვით გადაღებულ სატელევიზიო ფილმში.

**— თქვენი გმირების უმეტესობა სიკეთით ვერ დაიკვეხნის...**

— მართალი ხართ, და თუმცა მათზე მუშაობა ძალიან საინტერესოა, დაშტამპვის საშიშროებაც არის. იმისიც მეშინია, ამდენმა უარყოფითმა როლმა ჩემი თავი არ შეაძულოს მაყურებელს, როგორც არაერთ მსახიობს დამართნია.



**— თეატრში მუშაობა გირჩევნიათ თუ კინოში?**

— თეატრში პერსონაჟის სახე რეპეტიციების დროს იკვეთება და მე მიყვარს ეს პროცესი. სპექტაკლი თავიდან ბოლომდე განვლილი ცხოვრებაა. ჩემთვის წარმოუდგენელია სპექტაკლიდან ნაწყვეტის თამაში. ეს ერთმანეთის თანმდევი სიუჟეტებია მჭიდროდ დაკავშირებული სივრცითა და დროით. ფილმის ეპიზოდებს კი რეჟისორი სხვადასხვა დროს იღებს და შემდეგ ამონტაჟებს.

ამ ბოლო ხანს ჩვენს კინოში თანდათან მკვიდრდება პროფესიონალიზმი, უკვე ერიდებიან მსახიობების ქუჩიდან აყვანას და ეს ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა რეჟისორების თემურ ბაბლუანის, ზაზა ბუაძის, ერეკლე ბადურაშვილის, ზაზა ხალვაშის და სხვათა დამსახურებაა.

**— რომელი როლის თამაშს ისურვებდით?**

— ამაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან ეს ჩემი სანუკვარი ოცნებაა, სანუკვარზე კი ხმამაღლა არ ლაპარაკობენ...

**— ღმერთი გწამთ?**

— თავისთავად ცხადია. მე მგონია, ღმერთი თეატრთან ახლოა, მის სულთან უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული, — ეს ყოველთვის იგრძნობა სცენაზე თამაშისას, — ის თითქოს შენ გითავისებს, შენში შემოდის, შენში რჩება და იკვრება ერთი საერთო ნათელი აურა, რომელშიც მოძრაობ და მოქმედებ. ცხოვრებაში ვერასოდეს გააკეთებ იმას, რასაც სცენაზე აკეთებ.

**— ვინ არის თქვენი იდეალი?**

— კარგი ქართველი და ერისკაცი, ჭეშმარიტი ადამიანი...

**— როგორი უნდა იყოს ადამიანი?**

— მომთხოვნი, შემწყნარებელი, მაღალი ზნეობის, მიმტევებელი, სიყვარულით მირონცხებული და სიყვარულით სავსე, რომ ქუჩაში შეხვედრისას გაგიღიმოს, სითბო გიწილადოს, ადამიანის სიკეთის რწმენა გაჩუქოს. მართალია, რთულ დროში ვცხოვრობთ და ამისი განხორციელება ძნელია, მაგრამ ერის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს, სწორედ სიყვარული უნდა იყოს ჩვენი ყოფის საყრდენი და საფუძველი. მე კი ის შემიძლია, რომ ჩემი რწმენითა და სიკეთით მუდამ საქართველოსთან ვიყო.

ინტერვიუ მიჰყავდა
**ლალი გოზალიშვილს**

# ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა „ფრიდ ომ ჰაუსის“ მოხსენება მსოფლიოში პრესის თავისუფლების შესახებ

**ნიუ-იორკი,** 14 დეკემბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად შეიძლება ამ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვუწოდოთ „ნაწილობრივად თავისუფალი“. ასეთ დასკვნას შეიცავს მსოფლიოში პრესის თავისუფლების შესახებ 1990 წლის მოხსენება, რომელიც ნიუ-იორკის კვლევითმა ორგანიზაციამ „ფრიდ ომ ჰაუსმა“ მოამზადა. ადრე იგი შეურიგებლად ანტისაბჭოური ორგანიზაცია იყო. დოკუმენტის ავტორის აზრით, სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებები, მათ შორის პრესის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად წინასწარი ცენზურის გაუქმება მიმდინარე წლის „ყველაზე ნათელი მოვლენაა მსოფლიო ჟურნალისტიკაში. თუმცა კომუნისტური პარტია და მთავრობა ძირითადად კვლავ კონტროლს უწევენ პოლიგრაფიულ ბაზას, მაუწყებლობის საშუალებებსა და გამოცემათა გავრცელების სისტემას. საბჭოთა ავტორებსა და რედაქტორებს ახლა შეუძლიათ უმაღლესი ხელმძღვანელობაც კი უფრო თავისუფლად გააკრიტიკონ, ხაზგასმულია მოხსენებაში, რომელიც მეცხრე წელია ზედიზედ დგება.

„ფრიდ ომ ჰაუსის“ მიერ მიმოხილული მსოფლიოს 157 ქვეყანას შორის ახლა 61 სახელმწიფოს აქვს პრესის „სრული თავისუფლება“. შარშანდელთან შედარებით ამ კატეგორიას დაემატნენ ბოლივია, უნგრეთი, პანამა, პოლონეთი, ტაილანდი, ჩეხოსლოვაკია და ჩილე. ამასთან, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უნგრეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში პროპაგანდისტულ ჟურნალისტიკას ჯერ არ დაუთმია ადგილი „ფაქტებზე დაყრდნობისათვის“. „რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, — აღნიშნულია დოკუმენტში — განთავისუფლებულ ქვეყნებში ზოგიერთ კომუნისტურ გაზეთში შეიძლება შეხვდეთ მოვლენათა უფრო ზუსტ ასახვას, ვიდრე არაკომუნისტურ პარტიებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზოგიერთ ახალ გაზეთში“.

---

### ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ გურჯაანის ქორწინების სასახლეს, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე 9-დან 18 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ მობრძანდეთ მისამართზე: **გურჯაანი, ზუგდიდის ქ. № 52. ტელეფონი 2-39-44.**

---

ქაღალდის დეფიციტის გამო, ჩვენი დღევანდელი გაზეთი 4-გვერდიანია.

### საქართველოს ექიმთა ასოციაციის განცხადება

ა/წ 22 დეკემბერს, შაბათს, 11 საათზე კახიანის სახ. ა/კ რკინიგზის საავადმყოფოში (დიღომი ლუბლიანას ქ. №5) ჩატარდება სეას სათათბიროს სხდომა.

დეპუტატების რეგისტრაცია დაიწყება 10 საათიდან.

---

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი სამძიმარს უცხადებს ნინო კობახიძეს საქართველოს ახალგაზრდული კავშირის კომისიის თავმჯდომარეს მამის — ვლადიმერ ილიას ძე კობახიძის გარდაცვალების გამო.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თანამშრომლები.**


ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-21; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ზურაბ [illegible]

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში, ხოშარაულის № 29 [illegible] 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096 ვ. კოსტავას ქ. № 14.